




# ილორსი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№164 (223) 3-10 აპრილი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## ბილოსტაბი ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

“ტყე ყველა ქვეყანაში ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორც საქართველო, ტყე არა მარტო სიმდიდრე, მატერიალური ღირებულება, არამედ ისეთი საუნჯეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისს”, წერს დიდი ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი (ნ. კეცხოველი, “მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”, გვ. 8).

საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და იგი ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში.

მეფე ვახტანგ VI-ის კანონებში წერია: “ტყე, ბალახი და წყალი სახელმწიფოსია”. მაგრამ ყოველივე ეს ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო იყო და იმავე კანონში ეწერა: “სამი რამ არ დაეჭირება კაცსა: ტყე, ბალახი და წყალი”.

ამ წერილის მიზანია შესვენება რელიქტური და ენდემური მცენარის – ბზის და საუფლო დღესასწაულის – ბზობის. დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა პირადად დააფიქსირა ბზა გასული საუკუნის 50-იან წლებში – მდინარე ტეხურის ხეობაში და შეიტანა 1961 წელს მის მიერ გამოცემულ ფოტოალბომში “მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”.

ბზის კორომ “ბზიანს” და მდინარე ტეხურის ხეობას გასული წლებში კიდევ უფროსა გულშემატკივარი მეცნიერის თვალში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკის მარინე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოეწყო 25-დღიანი ექსპედიცია ტეხურის აუზში.

გასული საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით სურათი არსებითად შეცვლილია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ბზა იხევა ან გაჩეხილია. ბზა ორლებიანი მარადმწვანე მცენარეა, გვხვდება ბუნებრივ ან დაბალი ხეების სახით. იგი შეიცავს 70-მდე სახეობას, გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში.

კავკასიაში გვხვდება ბზის ორი სახეობა: კოლხური და პირკანული (თალიში, ახერბაიჯანი).

კოლხური ბზა ბუნებრივ, ან 8-10 მეტრი სიმაღლის ხეა, ცალკეული ეკუმულარი 18 მეტრსაც აღწევს, იზრდება ბარისა და მთის ტენიან ხეობებში ღრმა კარბონატულ ნიადაგებზე, ქვიანსა და კლდოვან ადგილებში. მთის კალთებზე ქმნის კორომებს (ბზიანი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება ქვეტყედ. მთებში მისი გავრცელების არეალი 400-600 მეტრ სიმაღლემდე აღწევს ზღვის დონიდან.

საქართველოში შემორჩენილია ბზის 4 უცხოური სახეობა. მარადმწვანე ბზას ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კარგად იტანს ყოველწლიურ გასხვლას და ვარჯის ფორმირებას, რგავენ უვლად, ჯგუფად ბორდიურად. ბზა უვლად დგომისას ნაყოფს 15 წლიდან იძლევა, ხოლო შეკრულ ხეთა დგომაში 40-60 წლიდან იზრდება ნელა, მერქანი მძიმეა, კარგად პრიადლება, იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. ბზის ფოთლებსა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს, ქერქისა და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში, განსაკუთრებით ფოთლები შეიცავს ალკალიიდ ბუქსინს, მის თესლში 37 პროცენტი ზეთია.

ვარაუდობენ, რომ უძველეს დროში მერქნის მღვრადობისა გამო საკმლის ხის, უთხოვარის ბზის მერქანი შუბის დასამზადებლად იყო გამოყენებული. ბზის მერქნის დამუშავების ტექნოლოგია დამახასიათებელია სოფელ საღინოს

მოსახლეობისათვის. ტრადიციას ახალგაზრდა თაობაც აგრძელებს. ამაზე მეტყველებს 1968 წლის ჟურნალ “მეგლის მეგობარი” №16-ის 46-ე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, სადაც ლაპარაკი საღინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებზე: “ჩვენი ეთნოგრაფიული სახელოსნოები”-ს სექციის გულმოდგინე ბავშვებმა თავისი საქმიანობისა და ხელმძღვანელების შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. “აქვე ჭრიალებდა ხის ჭურჭლის დამამზადებელი ჩარხი სახეველი, რომელიც გეგეჭკორის რაიონის სოფელ საღინოს ნორჩ მხარეთმცოდნეებმა ჩამოიტანეს, ხის ხეწას დაუფლებულნი დინჯად ჩარხავდნენ სანაყ ქვიჯას, ოსტატურად მუშაობდნენ ორნი – “მხეველი” და “ღველის მომწვევი”. უძველეს დროში ბზის მერქანი კოლხ კაცს სასიცოცხლო პროდუქტის შემოტანის საშუალებად ჰქონდა გამოყენებული.

ბზის მერქანი ექვივალენტური წონით იცვლება მარილზე, რომლის დეფიციტი დიდად აწუხებდა სამეგრელოს და სვანეთს (ცნობილია გამოთქმა: “უმარილოდ შეიდ წელს იყენენ სვანები”).

მდინარე ოჩხომურას მეშვეობით ხობიდან (სოფელი კურხუ) ბზის მერქნის გატანის შემთხვევასთანაა დაკავშირებული ხალხური მედიცინის თვალსაჩინო წარ-

წლებში გ. ბერულავასაგან დამზადებული მაღამო 12 ნაერთისაგან შედგებოდა, აქედან 8 იყო მცენარეული, ხოლო 9 – აფთიაქში შექმნილი. ამ ოთხიდან ერთი – გველის შხამი – vi prakun – ყოველთვის დომინირებდა. როგორც ვხედავთ, ბზის მერქნის საზღვარგარეთ გატანის ერთმა შემთხვევამ, არაპირდაპირი გზით, სრულიად სასიკეთო სამკურნალო ტრადიცია დაამკვიდრა.

თქვენს დიდ საერთო ოჯახში – დედამიწაზე მდგარი და დინამიურად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნება იყო, რომელსაც ადამიანი ჩარევით არღვევდა.

დედამიწაზე არცერთი წერტილი და სულიერი არ არსებობს ზედმეტად, მათ ყველას გარკვეული ფუნქცია აკისრიათ, როგორც ადამიანის თითოეულ ორგანოს.

არ შეიძლება შეკითხვის ამგვარად დასმა: ჭიანჭველა უფრო საჭიროა თუ სპილო. ერთს რაც შეუძლია, ის მეორისათვის მიუწვდომელია. ამიტომაც საჭირო ადამიანმა – ბუნების გვირგვინმა – გონიერება გამოიჩინოს და მცენარეული საფარის მიმართ. მცენარე მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით გამოსაყენებლად არ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე დიდ თბურ ენერჯის საკმლის ხე (ვაშლოვანის ნაკრბალი) გამოყოფს.

ამ რეგონში არქეოლოგიური გათხრები

### ბზა მსენარე-ბზობა საუფლო დღესასწაული

მომადგენლის აწგანსვენებული გაიოზ ბერულავას, როგორც სახალხო მკურნალის მოღვაწეობა (სპეციალობით იყო ბიოლოგი-პედაგოგი, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა – განსაკუთრებით ადამიანის ანატომიაზე). გასული საუკუნის 70-იან წლებში, კონკრეტულ აუცილებელ შეხვედრისას მიაშობ: “თურქეთიდან (ლაზისტანიდან) ჩამოსული ღაზები ორხაზურის ხეობაში ბზის მერქანს ამზადებდნენ და გაჰქონდათ. ერთ წელს ნაადრევად დაზამთრდა და ვეღარ მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება (თუმცა, სამშობლოში არ იყენენ?). ისინი მთელი ზამთარი ბაბუაჩემმა შეიფარა და კოლხურად უმსაპიძლა. როცა მიდიოდნენ ბაბუამ განსამრჯელო არ გამოართვა, მათ კი, ამგვარი პატივისცემის საპასუხოდ ადამიანის ძვლის მოტეხილობის განკურნებისთვის საჭირო მაღამოს დამზადების საიდუმლოება ასწავლეს. განსწავლული ამ საიდუმლოებას ოჯახის ერთ მემკვიდრეს ასწავლიდა”. როცა გაიოზმა ჯერის მიხედვით ისწავლა მაღამოს დამზადება, მაშინ იგი 40 ნაერთისაგან შედგებოდა. გ. ბერულავა, როგორც განათლებული პიროვნება – ბიოლოგი – თვალყურს ადევნებდა სააფთიაქო წამლების დინამიკას და შესაბამისად ხეწდა მაღამოს დამზადების ტექნოლოგიას.

ბოლო გასული საუკუნის 60-70-იან

დასტურებენ, რომ მისი მერქანი რკინის გამოდნობისას გამოიყენებოდა.

ბზა, როგორც ნელა მზარდი ძლიერი მაგარი მერქნის მქონეა. იგი საკმლის ხის შემდეგ მეორე ადგილზეა, რადგან საშუალოდ გამოყენებისას დიდ თბურ ენერჯის გამოყოფს, რასაც ღუმელი ერთ ზამთარსაც კი ვერ უძლებს.

სოფელ საღინოში შეხვედრივარ ოჯახს (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ), რომელსაც ბზის 6-8-მეტრიანი მორები ჰქონდა საშუალოდ მოტანილი. მან განმარტა: “ამის ღუმელში საშუალოდ გამოყენება არ შეიძლება, ერთ სეზონში ღუმელს მწყობრიდან გამოიყვანს, რის გამოც ბუხარში ვიყენებო”.

ბზა დიდ თბურ ენერჯის რომ გამოყოფს, ვეთანხმები, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ პიროვნებამ არ იცის მსოფლიოში მდინარე ტეხურასა და აბაშის ანალოგი ბზიანი კორომი თითხე ჩამოსათვლელია.

ჩვენი მიზანია არსებული წყაროების მიხედვით შევეხოთ 12 საუფლისწულო დღესასწაულიდან ერთ-ერთ საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას, როცა მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს უფლის უკანასკნელ მსველელობას იერუსალიმში (2012 წელს ბზობა აღინიშნება 8 აპრილს).

ვიდრე იერუსალიმში შევიდოდა, იესომ

თავის მოწაფეს უთხრა: “წარვედით და ბარა მაგას, რომელიც არს წინაშე თქვენსა და მევესეულად მპოვით ვირი დაბმული და კვიცი მისთანა აღსხენით და მომგვარეთ”. ეს ყოველივე გაკეთდა იმისათვის, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ თქმული: “არქუათ ასულსა სიონისასა, აჰა ესერა მეფე შენის მოვალს შენდა მშვიდი და ხე ზის იგი ვირს”-ო.

სახედარზე ამხედრებულ მაცხოვარს ხალხი დიდი სიხარულით შეეგება: ზოგი თავის სამოსელს უგებდა, ზოგიც პალმის ტოტებს. თან შესახოდნენ: “ოსანა ძესა დავითისა, კურთხეულ არს სახელითა უფლისათა, ოსანა! რომელი ხართ მადლთა შინა”.

მიუხედავად ასეთი შეხვედრისა, იესო მაინც სწუხდა. მან იცოდა, რომ ეს ხალხი ქვენიურ მეფესა და მბრძანებელს ხედავდა მასში, რომელიც რომაელთა ბატონობისაგან იხსნიდა და გაანთავისუფლებდა.

იესოს პირველი შესვლისას იერუსალიმში მან იხილა, რომ ეკლესიებში სასულიერო პირებს რელიგიასთან შეუსაბამო უდრისი საქმე ჰქონდათ გაჩაღებული – ვაჭრობდნენ. მან ეკლესიიდან გამოდევნა ვაჭრები და წმინდა ადგილი განწმინდა. აღნიშნულის გამო მართლმადიდებლური ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს როგორც საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას.

მეგრულში არის ასეთი გამოთქმა: “აი რე, ბაი რე, ბაიაში სწორი თანაფა რე”, ე.ი. “ბზობის კვირისთავი აღდგომაა”. ფაქტიურად ეს ყოველწლიურად ასეა.

ბზობის დღესასწაულის კვირისთავი აღდგომაა და იგი კვირა დღეს ემთხვევა, რასაც მართლმადიდებლური ეკლესია 2012 წელს აღნიშნავს 8 აპრილს “ბზობას”, ხოლო 15 აპრილს “აღდგომა”.

ხეშოთ აღინიშნა, რომ იესო ქრისტეს იერუსალიმში პირველ-შესვლისას პალმის რტოებს უფენდნენ. პალმის ყვავილი წერილია და ყვითელი. ასეთივეა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე – ბაიას ყვავილიც.

ბაია დღესიკონის მიხედვით თვალის გუგას, ხოლო მეგრულში – ჩვილ ყრმას ნიშნავს. რაც შეეხება სარიტუალოდ გამოყენებულ ბზის ყვავილს, ისიც ყვითელია, წერილი ფოთლის უბეში ზის და სურნელოვანია. საგარაუდო და სარწმუნოა, რომ პალმის რტო ბზით ამ ფერების გამო შეიცვალა.

გონიერი მიდგომა სჭირდება ბზის გამოყენებას, კოლხური ბზა ბუნების ცოცხალი მემკვიდრეა, იგი მოწმეა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ბუნებრივი ცვალებადობის. იგი ძველია.

“გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და თქვენ ნახავთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარბდება”.

მწერალ ლევან გოთუას ამ პატრიოტული გრძობით აღსავსე ნათქვამს ზედმეტი განმარტება არ სჭირდება.

მარტვილის რაიონის სოფელ ინხურში 2010 წელს აღმოჩენილია დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც უპირველესია კავკასიაში. საჭიროა მდინარე აბაშის ხეობის სოფელ ინხურიდან მის სათავემდე ნაკრბადად გამოცხადება, რაც ბზის კორომების დაცვისა და შენარჩუნების მყარი გარანტია იქნება.

ვაჟა მორბოშია, საქართველოს დამსახურებული აგრონომი, მარტვილი

**კვირფასო თანამეამეაულანო!**  
გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტის, ეროვნული გმირის – ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და ქვეყანაში საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების დღეს – 31 მარტს!  
სწორედ ამ რეფერენდუმზე, ზვიად გამსახურდიას სულისკვეთებითა და თაოსნობით, ქართველმა ერმა ერთსულოვნად მისცა ხმა საქართველოს თავისუფლებას!  
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ აბაშის ორგანიზაცია

# ალექსანდრე ჭაჩიაიას ბიოგრაფია და ეროვნული თვითშეგნების დათხოვნის

# შედეგების შესახებ



გახეობა „საქართველო და მსოფლიო“ მკითხველს შესთავაზა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჩიაისთან ინტერვიუს შესახებ ნაწილი, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ გახეობა „ილოხის“ მკითხველებს.

**– ბატონო ალექსანდრე, ჩვენი საუბრის დასაწყისში თქვენ ბრძანეთ, რომ ქართული საზოგადოება ერთიანი ეროვნული ორგანიზმი აღარ არის და მისი თანაპირობა ადვილია. რა არის ერისთვის ამდენად საშიში პროცესის მიზეზი?**

– უკვე 20 წელიწადზე მეტია, ერი დამანგრეველ იდენტობის თვალსაზრისით განიცდის, რომლის მასშტაბებსაც საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. ქართველები ტრადიციული, პატრიარქალური ერია. იგი საუკუნეების განმავლობაში იმ ტრადიციულ-ეროვნული ღირებულებების საფუძველზე ვითარდებოდა, რომლებიც ჩამოყალიბდა მართლმადიდებლობის, ნაწილობრივ ისლამის, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თემური ცხოვრების წესის ზემოქმედებით. ბიბლიური მცნებების დაცვა, ერთობლივი შრომითი საქმიანობა, თანაზიარობა, სიბრძნეების ერთობლივი დაძლევა, წინაპრების პატივისცემა, ისტორიის თავიანთი ცემა – ეს ყველაფერი იყო საფუძველი, რაზეც ერი იდგა. და ყველაფერი ეს უამრავი აკრძალვით იყო განმტკიცებული. ადამიანური მორალი აკრძალვების აღიარება. ადამიანი მას შემდეგ გახდა ადამიანი და შეძლო ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ტაბუს, აკრძალვების სისტემა შექმნა და მათ დაემორჩილა, ცხოველური ინსტინქტების დათრგუნვა ისწავლა. ადამიანი ამით განსხვავდება ცხოველისგან, რომელიც მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს.

აი, ასეთი ეროვნული მორალური კოდექსის მქონე ტრადიციულ საზოგადოებას ერთ წაშლილ დატყდა თავს მისთვის უცნობი ზნეობრივი შეფასებების, ქცევის ნორმების, მინორბრივი განწყობების დამანგრეველი ტალღა. საზოგადოებას განუცხადეს, რომ ამიერიდან ადამიანი თავისუფალია, რომ ყველაფერი ნებადართულია, რომ მორალი, ზნეობრივი აკრძალვები კომუნისტური ბოღვაა. ამასთან ერთად, ინერგებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ერის წარსულისადმი, როგორც არასწორის, მცდარის, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილის მიმართ. დამცირებისა და დაცინვისთვის გაწირეს დიდი ისტორიული მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები – ის ადამიანები, რომლებიც ერის მამებდ ითვლებოდნენ. განსაკუთრებით ეს საბჭოთა პერიოდის ისტორიას შეეხო: აღმოჩნდა, რომ ჩვენმა მამებმა და პაპებმა ამაოდ იცხოვრეს, არაფერი დადებითი საკუთარი ერისთვის არ გაუკეთებიათ, დიდ სამამულო ომშიც კი, გაუგებარია, რისთვის იბრძოდნენ. მეტიც, ქარხნებიც და ფაბრიკებიც, რაკი საბჭოთა იყო, არასაჭიროდ, მაგნედ, განადგურების ღირსად გამოაცხადეს.

თაობებს შორის გაუცხოების პროცესი დაიწყო, ახალგაზრდობა დამცინავად აქილიკებდა უფროსებს, მათ დამსახურებებს, ჯილდოებს, ხოლო თვითონ იმ ახალი ცხოვრებისეულ სწრაფვა დაიწყო, რომელიც ამერიკულ ფილმებში ჰქონდა ნანახი, სადაც გმირები არსად მუშაობენ, მაგრამ ძალიან ლამაზად ცხოვრობენ. სიტყვები «თავისუფლება», «დემოკრატია», «საბაზრო ეკონომიკა», «კერძო საკუთრება» საკრალური გახდა. თუ ვინმე, ჩემსავით ეცდებოდა, შეეხსენებინა, რომ საბაზრო ეკონომიკა და კერძო საკუთრება ყველანაირად, მაგრამ ზომიერად რატომღაც ისე არ ცხოვრობენ, როგორც საფრანგეთში, მაშინვე «საქართველოს მტრად» და «კომუნისტად» აცხადებდნენ. თუ ვამბობდი, რომ ამერიკული მასობრივი კულტურა ცხოველური ინსტინქტების დაკ-

მაყოფილებას ეფუძნება და იგი ეროვნული კულტურის გამოდევნას დაიწვევს, ჩვენი ერის სულიერებასა და ზნეობას აუნაზღაურებელ ზიანს მიყენებს, მაშინვე «ერელების აგენტი» ან «პროვინციელი ფაშისტი» ვხდებოდი. დაიწყო ჩვენი რეალობაში იმ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ზნეობრივი ნორმების ხელშეწყობის გადმოტანა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სხვა საზოგადოებებში, ჩვენითვის უცხო ღირებულებების – პროტესტანტიზმის, უკიდურესი ინდივიდუალიზმის, სოციალ-დარვინიზმის, სიმდიდრისა და ძალის კულტის ზემოქმედებით ყალიბდებოდა. თავის დროზე ეს ამერიკელი ერის ფორმირების საფუძველი და თანამედროვე ამერიკული მორალის ბაზისი იყო ტრადიციული, მართლმადიდებელი, თემური ღირებულებების მქონე ქართველი ერისთვის.

უკვე შევარდნაძის დროს იგრძნეს «რეფორმისტურებმა» ხალხის ყრუ წინააღმდეგობა, ეროვნული თვითშეგნებისთვის უცხო ნორმებისა და ინსტიტუტების მიუღებლობა. ეს წინააღმდეგობა მასშტაბურ ბუნტში გადაიზარდა, რომელსაც სხვადასხვა სახის მანიპულაციების გზით ყვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმფირატი მოაჯდა ზურგზე. ეს «რეფორმაციონერები» მიხედნენ, რომ ქართველ ხალხს ასე მარტივად ვერ გააბითურებ, ამიტომ შეეშუავედა ერის გათლქვისა და დაუმორჩილებელი სულის დათრგუნვის ახალი ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის ძირითად კომპონენტებად იქცა: ცხოვრების ყველა სოციალური სფეროდან 40 წელს გადაცილებული თაობის გაძევება; განათლების სისტემის გადაცემა ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების გაუნათლებელი კურსდამთავრებულებისთვის, უფროსი თაობის პროფესორ-მასწავლებლების განდევნა და, აქედან გამომდინარე, განათლების დეგრადაცია; მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების მონოპოლიზაცია და «თავისუფალი ცხოვრების» – სექსის, პორნოგრაფიის, პომოსექსუალიზმის პროპაგანდა; ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეროვნული სპეციფიკის უარყოფა; მართლმადიდებლური ეკლესიისა და მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების, როგორც «არქაიზმის», «ნამორჩენლის» ყოველმხრივი დისკრედიტაცია; ყველა უცხო კონფესიისა და ფსევდორელიგიური სექტის მიმართ «დია კარის» პოლიტიკა. ყველა ეს პროცესი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს.

ერის ცნობიერებისთვის მიყენებული ასეთი ძლიერი დარტყმა უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მთლიანობაში ქართველი ერის გატეხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ქართველი საზოგადოება, სამწუხაროდ, რიგ სეგმენტებად გაიხლიჩა და გააზრებული, ერთსულლოვანი ეროვნული მოქმედების უნარი დაკარგა. ადამიანების ცნობიერებით აქტიური მანიპულირება დაიწყო, თავს მოახვიეს მთელი რიგი აბსურდული მითებისა, ხალხმა დაუბიჯურად აზროვნების, სიტუაციის გაანალიზების, მოვლენათა სწორი შეფასების უნარი დაკარგა.

**– საბოლოო ჯამში, ჯერ ბრმად ენდობდნენ შევარდნაძეს, შემდეგ ასევე ბრმად ენდობნენ სააკაშვილის დაპირებებს, რომ ცოტა ხანში მიგვიღებენ ნატოში, ევროკავშირში, რომ შევიცარია გავხდებით...**

– დიახ, ეს ყველაფერი ცნობიერების მანიპულირების, სიცრუისაგან დაუცველობის შედეგია. ხომ არ შეიძლება იმის დავივიწყო, რომ საკუთარი ხალხის მოტყუების მასშტაბურ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი ხალხი კი ინტელიგენციისადმი ნდობას მიხევდა. თანდათან აბსურდი ნორმად იქცა. მასსოვს, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აფხაზეთიდან დევნილების ნაწილმა ხმა მისცა შევარდნაძეს. ასეთი საოცარი გადაწყვეტილების მიზეზით დავინტერესდები. პასუხმა გამოიწვია: «აფხაზეთი ვინც დაგვაკარგინა, იმან დაგვიბრუნოს». ეს აბსურდული აზროვნების მაგალითია. ან საზოგადოებაში ინტელიგენციის მიერ შემოღებული ასეთი პასაჟი გავისხენოთ: «შევარდნაძე მსოფლიო დონის პოლიტიკოსია, მას ისეთი რამ აქვს ჩაფიქრებული, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით». თანაც ამას აფხაზეთის დაკარგვის, ერის გაღატაკების შემდეგ უშუქო, გაყინულ ბინებში იმყო-

ვრდნენ. შევარდნაძე მასის გაბრიყვების ამ ტექნოლოგიას აქტიურად იყენებდა. როდესაც საქართველოში პუტინის შემდეგ ჩამოვიდა, რისიანად განაცხადა: «ორ წელიწადში საქართველო შევიცარია გავხდებით». რამდენიმე წელიწადი ყველა ტრასაზე ეკიდა ბილბორდი: «2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა. ევარდ შევარდნაძე». დღემდე ზეპირად მასსოვს. 2000 წელს ეს ბილბორდები ჩუმიად ჩამოსხნეს, ხოლო მისი ფრაზა «ორ წელიწადში აფხაზეთს დაგიბრუნებთ», რომელსაც იგი 10 წლის მანძილზე იმეორებდა, სისტემატური ტყულის მაგალითად იქცა. ამ ყველაფერს (აფხაზეთის დაბრუნების, ორი წლის და შევიცარის შესახებ) შემდეგ სააკაშვილი იმეორებდა და მასაც დაუჯერეს!

ერთხელ, ტელევიზიით გამოსვლისას, შევარდნაძისა და სააკაშვილის შეუცვლელმა მრწველმა საგარეო პოლიტიკის დარგში ამერიკის შეერთებულ შტატებს «მსოფლიოში უბედესი დემოკრატია» უწოდა. ამ დროს იგი განათლებულ ადამიანად ითვლება. ეს ითქვა იმ ქვეყანაზე, რომელშიც სერგეევაცია მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში გააუქმეს ოფიციალურად, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ წლების მანძილზე ზანგებისთვის ცალკე სკოლები, ავტობუსებში ცალკე ადგილები და პარკებში ცალკე სკამები იყო გამოყოფილი. პრეზიდენტ ობამას მიუღწევს – ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს – ნეგროიდული წარმომადგენლობის გამო არ შეეძლო ესწავლა იმ სკოლასა და ინსტიტუტში, რომელშიც უნდოდა. მეტიც, ამერიკაში ქალებმა პირველად მხოლოდ 60-იან წლებში მიიღეს ხმის მიცემის უფლება, ანუ შემოღებული იქნა ელექტრონული დემოკრატია ერთი ნორმა, რომელიც საქართველოში, სხვათა შორის, 1918 წლიდან არსებობს. სწორედ აშშ-ში მემარცხენების მიმართ უბრალო სიმათიის ეჭვის გამო ათავისუფლებდნენ სამსახურიდან, რიცხავდნენ უნივერსიტეტშიდან, ასახლებდნენ ქვეყნიდან. ასე თუ იდვი ჩარლი ჩაპლინი იძულებული გახდა, დაეტოვებინა აშშ. დღეს შეერთებულ შტატებში 10-ზე მეტი სხვადასხვა სპეც-სამსახურია ასიათასობით თანამშრომლით, რომელთა ამოცანაა საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების ყველა სფეროზე ტოტალური კონტროლის დაწესება. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ობამამ სულ ახლახან ოფიციალურად აკრძალა პატიმრების წამება. ეს გახლავთ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, სადაც არ არსებობს საყოველთაო პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო პრეზიდენტი შესაძლებელია გახდეს ადამიანი, რომელმაც ამომრჩეველთა ნაკლები ხმა მიიღო, როგორც ბუშ-მეცროსის შემთხვევაში იყო. ძალიან ორიგინალური გონება უნდა გქონდეს, რომ ასეთი ქვეყანას «უბედესი დემოკრატია» უწოდო, თუმცა ზუსტად ასე ახვევენ თავს საზოგადოებას აბსურდულ სტერეოტიპებს.

**– ალბათ, ასეთივე აბსურდული მტკიცებათა რიცხვს შეუკიდებია მივაკუთვნოთ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ თურქეთი, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიული მეგობარია...**

– დიახ, მაგრამ აქ უფრო ღრმა მიზეზებიცაა. თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიადწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს. ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადება საჭირო. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლებიც ასე ამავლობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფუშენებელური სასტუმროების და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა შეუძლებელია აჭარაში რენტეპლური იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრეების ასათვისებლად საკმარისი არაა, საკუთრებულ სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თვითონ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას. მე მითხრეს, რომ დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის

შემაღვანელობაში იყო. წლების წინ ვერდი და ახლაც შემოდის გავიმეორო, რომ თურქეთთან ურთიერთობებში ჩვენ შემდეგი გარემოებებით უნდა ვისევემდგანელოთ:

პირველი – თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიხრევა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს – საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;

მეორე – თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა საქართველომ;

მესამე – თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ხესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;

მეოთხე – ერთი მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქვამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე.

**– დღეს საზოგადოება ძალიან ადევნავს ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებით ბათუმში აზოიცი მენეთის მშენებლობის გამო. რატომაა ხელისუფლება ასეთი ჯიუტი ამ გადაწყვეტილებაში?**

– იმიტომ, რომ ჩვენს ხელისუფლებაზე აჭარაში აღარაფერია დამოკიდებული. თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ რედილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერაინ შეუშლის ხელს. საქართველოს ხელმძღვანელობას მშენებარად ემხობა, რომ აჭარაზე კონტროლი ნელ-ნელა გადადის თურქების ხელში, მაგრამ ვერ შევწინააღმდეგა. თურქებს რომ შეეწყვიტათ ობიექტების შენება აჭარასა და თბილისში, მაშინ რა წარმოედგინათ, როგორც საკუთარი მმართველობის შედეგი: ზუგდიდში შადრევანი? პლენხანოვზე გადაღებული ფასადები? სად მიეყვანათ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები?

ამ მეჩეთთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე გემატებს. ჩემთვის ძვირფასი ბათუმელი საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მესხიერებას ინარჩუნებს, მათ შორის იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვეულოდებო, იყვნენ ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწვევს. ერდოლანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფრთხილებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დაუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა, არ მიეცეთ ხელისუფლებას ახალი ტერიტორიების დაკარგვის შესაძლებლობა. ამისთვის უახლოესი 5 წლის მანძილზე ბეწვის ხიდზე მოგვიწევს სიარული. თუ შეუძლებელია, ვიქნებით ერი საკუთარი სახელმწიფოთი.

მთავარია, დარწმუნდეთ ტერიტორია შევინარჩუნოთ, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი კი მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილთან ჩვენს ურთიერთობებს ეთმობა. უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა, ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები – ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთან, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზე დამოკიდებულია. თუ არე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წლის მანძილზე დავგავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშენებარად ახსოვთ, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო.

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)







# „ნაციონალური“ ტერორი და საქართველო საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის წინაშე

საქართველოში შექმნილი მიმდინარე პოლიტიკური ვითარება დღითიდღე უარესდება. საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების მიუხედავად ხელისუფლება დათმობებზე წასვლას არ აპირებს და მთელი ქვეყნის მასშტაბით რეპრესიების განხორციელებას განაგრძობს.

უკვე ყველასთვის ნათელია რომ, რაც უფრო მიუახლოვდება საპარლამენტო არჩევნებს, მით უფრო მომეტებს დაძაბულობა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ხელისუფლების მიერ ქვეყანაში განხორციელებული და მოსალოდნელი რეპრესიები. გადაამტკებელი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბოლო თვეების განმავლობაში სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა კონტროლის პალატა პოლიტიკურ (პარტიულ) პოლიციად გარდაქმნა, რომელიც ნაციონალური გერმანიის ტერორის სიმბოლოდ წოდებული – „გესტაპოს“ პრინციპებით მოქმედებს, რომლის მთავარ მიზანს ქართულ საზოგადოებაში ოპოზიციური აზრის ჩახშობას წარმოადგენს.

საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ყველა სხვა დიქტატორულ რეჟიმებს ახასიათებს ხოლმე შექმნა და მთელი სიმწვავეთი აამუშავა „პოლიტიკური პოლიცია“ კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის სახით, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში „ქართული ოცნების“ მხარდამტკებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახსურდებოდა დაკითხვას უწყობს. ზოგადად ინფორმაციის მოძიება-გადამოწმების მიზნით დაკითხვაში უცნაური არაფერია, თუმცა აღნიშნული უწყება სრულიად უგულვებელყოფს ადამიანის უფლებებს და კონსტიტუციის ფუძემდებელ პრინციპებს. ვინაიდან დაკითხვამდე ადამიანებს ჩხრეკენ და ლამის დღემობით აყენებენ. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხია, რაც უპირველეს ყოვლისა საზოგადოების ოპოზიციურად მოაზროვნე ნაწილის დაშინებას და არჩევნებამდე მათი ნაციონალური მოძრაობის მხარეს „გადაყვანას“ ისახავს მიზნად.

დღეს სააკაშვილის რეჟიმი ძალაუფლებას ინარჩუნებს არა მისი პოლიტიკური კურსის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობის გამო, არამედ ადმინისტრაციული რესურსების, ბიუროკრატიული აპარატის და მოსახლეობის დაშინების ხარჯზე. არადა ქვეყანაში გატარებული რეფორმები და ულტრალიბერალური იდეოლოგია, რომელსაც არანაირი დადებითი ეფექტი არ აქვს, საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერით არ სარგებლობს.

ამ ეტაპზე სააკაშვილს აწყობს პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია და ოპოზიციის ქუჩაში გატყუება, ვინაიდან მას აქვს რესურსი ძალის გამოყენებით დაშალოს, გაფანტოს და დაადუმოს საზოგადოების ოპოზიციური მუხტი და მის ხელთ არსებული პროპაგანდისტული მანქანის მშვეობით „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“ აღკვეთოს. უფრო მეტიც – მისი მიზანია საზოგადოებაში დაწეროს ნიჰილიზმი, რომ ოპოზიციას ძალა არ შესწევს ხელისუფლების შესაცვლელად და მათი ნებისმიერი მცდელობა შეცვალოს ხელისუფლება დამარცხებისთვის არის განწირული. ამით სააკაშვილი შეძლებს განამტკიცოს აზრი, რომ ოპოზიცია სუსტია, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ უაღრესად პოლიტიკური ძალა.

ამიტომ დღეს ხალხის ქუჩაში გამოსვლას, პროტესტის გამოხატვას და მცდელობას რეველუციის გზით შეიცვალოს არსებული რეჟიმი არანაირი დადებითი შედეგის მომტანი არ იქნება.

დღეს სააკაშვილი თავისი ავტორიტარული რეჟიმის უსაფრთხოებას საკუთარი მოქალაქეების დატერორებითა და ცივილიზებული მსოფლიოსგან საქართველოს იზოლირებით ცდილობს, ვინაიდან კარგად იცის მის მიმართ ქართული საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რომელმაც შეიძლება შემოდგომას არჩევნებზე ვულკანითი ამოხეთქოს, მითუმეტეს ახლა როცა დასავლეთის მხარდაჭერას ოპოზიციისკენ იხრება. ამიტომაც ძალაუფლების დაკარგვის შიში აიძულებს მას მიმართოს სისასტიკეს და ძალმომრეობას.

მმართველი რეჟიმის წარმომადგენლები, რომ მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს არა ოპოზიციად, არამედ კრემლის მიერ მართულ „მეზოუე კოლონად“ განიხილავენ პოლიტიკური პროცესების ნორმალურებისთვის ერთერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. სააკაშვილის და კონტროლირებადი მედიის მიერ მოყოლილი ზღაპრები ოპოზიციის ყულაბაში არსებულ „გაზარდის დოლარებზე“ და „კრემლის პროექტებზე“ ძალიან არასერიოზულია. თუმცა ეს უსაფუძვლო პროპაგანდა კონკრეტულ გეგმას ემსახურება: სააკაშვილის აბსურდული რიტორიკა, რომ „შემოდგომაზე პუტინს კახეთის ქუჩებში შეხვდება“ და რომ „პუტინი ვერასოდეს გაიგებს, ქართველი ხალხი რატომ არ გაიყიდება შემოდგომაზე“ არჩევნების გაყვლების შემდეგ ქუჩაში საპროტესტოდ გამოხდელი საზოგადოების სასტიკად ჩასახშობად ნიადაგის მომზადებას ისახავს მიზნად.

უკვე ყველასთვის ცხადია, რომ სააკაშვილი ამერიკის მხარდაჭერას კარგავს, რაც მთელი რიგი თბიქტური მიზეზებით არის განპირობებული. მითი საქართველოს გასხვიონებულ დემოკრატიულობაზე, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ყველასთვის წარსულს ჩაბარდა. ვინაიდან ბოლო წლებში განმავლობაში ჩვენ ყველამ კარგად ვნახეთ, თუ როგორ გარდაიქმნა დასავლეთის მიერ გაფრთხილებული „დემოკრატიის შუქურა“ ავტორიტარიზმის წყვილიად, რომელმაც საქართველოში წლების მანძილზე საზოგადოების უდიდესი ძალისხმევით შედეგად ჩამოყალიბებული დემოკრატიის ყველა საციცოცხლო უჯრედი ლამის ნაბიჯ-ნაბიჯ ამოშანდა და მოქალაქეების დასათრგუნად ტერორის უძლიერესი მანქანა ჩამოაყალიბა. ხოლო დემოკრატიის შირმად ქცეული „მიშუსული“ ნაგებობები,

რომლებიც უცხოელთა თვალში გამკვირვალეობის ილუზიას ქმნიდა, გაცილებით უფრო პირქვეში და მზაკვრული გამოდგა, ვიდრე რეიგანის მიერ „აღმოჩენილი“ რკინის ფარდა, რომლითაც საბჭოთა მმართველობა დანარჩენი (კაპიტალისტური) სამყაროსგან დისტანცირებას აკეთებდა კომუნისტი ამხანაგების „დასაცავად“. დიას, ეს სრული სიმართლეა, რადგან საბჭოთა მმართველობა არ ცდილობდა სხვა პოლიტიკურ სისტემასთან მსგავსების ილუზიის შექმნას, სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, რომელიც დემოკრატიის და სამართლიანობის ნიღაბს არის ამოფარებული და დასავლური დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოზე აცხადებს პრეტენზიას. მაგრამ, როგორც მ. ებნერ-ეშენბახი ამბობდა „სიკეთის ნიღაბს რომ არ ეფარებოდეს, ბოროტება ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ამქვეყნად“.

რეალურად არ განხორციელებულა და მხოლოდ პიარის შემაღლებულ ნაწილად დარჩა სააკაშვილის ხელისუფლების ერთერთი მთავარი ლოზუნგი – „საქართველო კორუფციის გარეშე“, რომელმაც თავის დროზე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა. ხელისუფლება მუდმივად საუბრობს აღმოფხვრულ კორუფციაზე, რომლის დამადასტურებელ არგუმენტადაც იმ სიმანხვევების მოსაპოპოპოვებას, როცა საჯარო მოხელეები (პოლიცია, მეზაჟე და ა.შ.) ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამს იღებდნენ, მაგრამ მათ ავიწყდებოდა, რომ ამ შემოღონიშნული კორუფციული სიმანხვევებისგან არაფრით განსხვავდება ის „ვეროსტანდარტებულ“ გადასახადები, რომელიც დაუსაქმებელი, უშემოსავლო და გაღატაკებული მოსახლეობის აუტანელ ყოფა-ცხოვრებას კიდევ უფრო აუტანელს ხდის. მართალია „წერილი ჩლიქოსანს“ კორუფცია ქვეყანაში ამოიშანდა, თუმცა მისი ადგილი თანდათან დაიკავა „ლეგალიზებული“ კორუფციის ახალმა მოდელმა – „ეტიკური კორუფციის“ სახით, რომელშიც ჩართული არიან მაღალი რანგის ჩინოფიკები და პრეზიდენტის ოჯახის წევრები. დიას, დღეს საქართველოს განვითარებას აფერხებს კორუფციის „დამამარცხებელი“ პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის აღვირახსნილი კორუპტირებულობა.

მმართველი რეჟიმის წარმომადგენლები უკვე იმდენად გათავხედდნენ, რომ საქართველოს სტრატეგიული და პარტიოროი სახელმწიფოების საელჩოების მიმართ შეურაცხმყოფელი და უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებასაც არ ერიდებიან. სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ უცხო ქვეყნების საელჩოების თანამშრომლები კორუპტირებულ გაიშინებებს შეადარა: „რომ გავისხენოთ, რა არ უნდა დაბრუნდეს ჩვენს ქვეყანაში, ამისთვის არ არის აუცილებელი ქვეყანაში, ამისთვის არ არის აუცილებელი ქვეყანაში და რომელიმე საგზაო პოლიციის თანამშრომელს შეხვდეთ. მიდით ზოგიერთ უცხოურ საელჩოში, თბილისის ცენტრში ვინის ასაღებად და ნახეთ, როგორ ეპყრობიან

იქ მისულ მოქალაქეებს. უცხოელებიც და სხვათა შორის, მათი ქართველი თანამშრომლებიც. რატომ ეპყრობიან იცით ასე – იმიტომ, რომ ჰგონია, რომ ის არის უფროსი და მას შეუძლია დაგამციროს, შემოდან ქვემოთ დაგხედოს, დაგამციროს და ამით სიამოვნება მიიღოს. ასეა ბევრ ქვეყანაში. ეს ხდება ჩვენს საელჩოებში, უცხოურ საელჩოებში, მათ შორის, განვითარებული ევროპული ქვეყნების“. ქვეყნის პირველ პირს არც დეპუტატი კაკო ბობოხიძე ჩამორჩა და კონტროლის პალატის უკანონო ქმედებების გამო შეშფოთების გამოხატვისთვის საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ს ელჩი „ვილაც წარმომადგენლად“ მოიხსენია: „ჩვენ მივინჯებით, რომ საქართველოში ზის აშშ-ს ვილაც წარმომადგენელი და მისი სიტყვა არის გადამწყვეტი მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვის. არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, არამედ ნებისმიერი ელჩის პოზიცია არის ანგარიშგასაწვევი, მაგრამ ეს არ არის ღირებულება... ვინ არის ჯონ ბასი, რომ მისი გალიზიანება ჩვენთვის შემამოფოთებელი იყოს? ან რატომაა აშშ-ს ელჩი უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე, ვიდრე თუნდაც საქართველოში რუმინეთის ელჩი?“. ქვეყნის მეთაურის და მისი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული ასეთი არადიპლომატიური განცხადებები იმ ზეწოდის გამოძახილია, რომელსაც დასავლეთი ბოლო თვეების განმავლობაში ახორციელებს მმართველი რეჟიმის მიმართ. დღეს საერთაშორისო საზოგადოება ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს მომავალი საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და თანაბარუფლებიან გარემოში ჩატარებას, რაც სააკაშვილის პოლიტიკურ მიზნებს ეწინააღმდეგება. ვინაიდან, თუკი ჩატარდება სამართლიანი არჩევნები და საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიოს მისთვის სასურველი პოლიტიკური ძალა, მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ არჩევნებში დამარცხდება, ხოლო ავტორიტარული რეჟიმის „დამფუძნებელი მამები“ სააკაშვილის მეთაურობით პოლიტიკური სცენის მიღმა ან განსახველის სკამზე აღმოჩნდებიან. გარდა ამისა, ისინი ძალაუფლებასთან ერთად წლების მანძილზე მოსახლეობის ჯიბიდან მოპარულ და უკანონოდ მითვისებულ უდიდეს ფინანსურ კაპიტალს დაკარგავენ. ამიტომ სააკაშვილს და მის უახლოეს გარემოცვას, რომლებიც უკანონობის და კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულნი, ძალაუფლების და მოპარული მილიონების შესანარჩუნებლად უკანასკნელ მომენტამდე იბრძობდნენ და არც სამოქალაქო დაპირისპირებაზე იტყვიან უარს. როგორც ჩანს სწორედ ამ მიზნით ქმნიან და აიარაღებენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უკანონო ბანდოფორმირებებს, რომელსაც არჩევნების დროს საზოგადოების დასატერორებლად გამოიყენებენ.

ზურაბ ჯაბაშვილი

## საქართველოში 260 000 ოჯახი საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიყვების ხარჯზე ცხოვრობს

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიყვების მოცულობა იზრდება. 2012 წლის იანვარში ქვეყანაში 84 მლნ დოლარი გადმორიყვიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10 მილიონით მეტია. გადმორიყვების საერთო მოცულობის 88% რვა ქვეყანაზე მოდის. მათგან 41 მლნ დოლარით პირველ ადგილზეა რუსეთი, მეორეზე – საბერძნეთი (11 მლნ), მესამეზე – იტალია (8 მლნ). გადმორიყვები ხორციელდება, აგრეთვე, აშშ-დან, უკრაინიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

ექსპერტ სოსო არჩვაძის შეფასებით, ფულადი გადმორიყვები საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც მან რადიო „კომერსანტს“ განუცხადა, ამ ფულზე, დაახლოებით, 260 ათასი ოჯახია

დამოკიდებული. მისივე თქმით, ეს არ არის არც ინვესტიცია და არც ბიზნესისთვის განკუთვნილი ფული. ძირითადად, ეს ერთჯერადი სახარჯო თანხაა ყოველდღიური საჭიროებისათვის. თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, შესაძლოა, ამ თანხის ნაწილი ბიზნესშიც გამოიყენება.



## პატრიარქმა ელჩებს დახმარება სთხოვა

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2012 წლის 25 მარტს, ავტოკეფალიის აღდგენის 95 წლისთავი აღნიშნა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოში მიღება გაიმართა, რომელსაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელებს დახმარებისთვის მიმართა და საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და შემოდგომისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების მართლაც სამართლიანად და ღიად ჩატარებაში ხელშეწყობა სთხოვა. „მონარქული იქნები, თუ ხშირად გვეწვევით. ახლა ძალზე ენელი პერიოდი გვაქვს, წინ არის საპარლამენტო არჩევნები, და მე მხარდაჭერას გთხოვთ“, – მიმართა ელჩებს ილია მეორემ.

სტუმრები გაგებით მოეკიდნენ ქვეყნის სულიერი ღირებულების შემოფოთებას და იმედი გამოთქვეს, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში პროგრესი დაისახება და ჭეშმარიტად დემოკრატიული პრინციპები დამკვიდრდება. შეხვედრას ესწრე-

ბოდნენ აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი მეუღლითურთ, ჩეხეთის, გერმანიის, პოლანდიის, ისრაელის, ლატვიის, იაპონიის, საბერძნეთის ელჩები, გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლები, სასულიერო პირები – საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები.

შეხვედრის დასასრულ პატრიარქმა ელჩებს საკუთარი ნაწარმოები – „აგნუს დეი“ მოასმენინა და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ვიზიტისათვის.



# ზვიად გამსახურდია: ეროვნება არა აქვს მხოლოდ ცხოველს



ისტორიის ღაღადი

**ზვიად გამსახურდია:** სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმადან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის - ჯ. ბუიკერის პირადი მონაწილეობითა და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

შემთხვევით არ არის, რომ ამ ნომერში ზვიად გამსახურდიას ინტერვიუსაც ვაქვეყნებთ. 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების კარგად მოფიქრებული გეგმის განხორციელება დაიწყო. ზვიად გამსახურდიამ უმაღლეს აულო აღდგო, თუ საიდან იმართებოდა გადატრიალების პროცესი. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუ, სადაც ის სრულყოფილად აანალიზებს ევროატლანტიკური იმპერიალიზმის ჭეშმარიტ ზრახვებს.

როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაცობრიობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხემ დარღვევას“ და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გაზავნიან.

...მაგრამ საქართველოში ერთმა მუჭა „რამკიანმა“ ქურდებმა იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი და მიიტაცეს ხელისუფლება. მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება.

იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს - **ზვიად გამსახურდიას**.

- მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში, კარგა ხანია, განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გაღვნი და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და, თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არ აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შეინდონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

- ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავი-

სუფლად რომ ერევან უცხო სახელმწიფოთა საწინაო საქმეებში?

- კაცობრიობის მტრებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს, პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკვებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შვედეთულ შტატებთან და ევროპასთან და მთელი ძალით მიიღობენ მსოფლიო ბატონობისკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვერთ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმადან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის - ჯ. ბუიკერის პირადი მონაწილეობითა და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბუიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტინსადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბუიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მა მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

- რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

- ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქცეით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერუო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოხვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენ მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცდლებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპულ სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს უ.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ, უბრალოდ, ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისთვის საჭირო რაოდენობით; ამასთან, სრულიად დემორალიზებული, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისათვის. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფო-

ბის შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების განაღდებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად ააღებულ კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად განაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფრფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვევდება ეროვნებათა შორის დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემს საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასე ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენიებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გაქონდა ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგანძიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისთვის?

- პირველ რიგში, აუცილებელია შექმნა ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრულ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმასზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველა სახის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებსაც ვლადიმერ პუტინი უწოდებდა, რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისთვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი, რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოველად აღუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

- რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

- სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არ აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებს და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წარმოება უძმომესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა ადამიანის სრული მოკვებაა ეროვნული ფესვებისგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის შემოვლით ეხიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად, დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წვევებს მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებს მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

- რა ძალები აღუდგენ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

- საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ

წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულნი მზად არიან, ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოეთი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში შირად შერწყულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი პიროვნებისა. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

- რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

- ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისთვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისთვის.

რუსეთიც კავკასიას ოდიოტანვე განიხილავდა როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მისწრაფვის, ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გაეღვანა გააერცვლოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბლაკაინიზაციის“ გარეშე. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაკენ.

- ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

- ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმადან აქვს თავსმოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდით მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების განაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის საფასურით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების, პირველ რიგში, რუსი ხალხის სადი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითობს ხელს ახალი ომის აღზე.

მე მჭამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისგან.

გაზ. „აღდგომა“, №29, 6 დეკემბერი, 1992 წ.







„პუტინს იმას აბრალებენ, რასაც თვითონ აკეთებენ და ამით თვითლუსტრაციას ახდენენ! ხალხი კი ყველაფერს ხვდება...“

**(გაგრძელება მე-9 გვერდიდან)**  
 - ესენი ხომ სულ გაყიდვებზე არიან. როგორც ნარკომანს ან კაზინოში მოთამაშეს ნელ-ნელა ყველაფერი გააქვს სახლიდან, ისე იქცევიან. რაღა მაინცადამაინც სიონის გვერდით მოუნდათ კაზინოს აშენება? ეს არის ადამიანების უბედურების სიმბოლო. ხალხმა გაყიდა ყველაფერი და დაენგრა ოჯახები ამის გამო. ესენიც ქვეყანასაც ისე უყურებენ, როგორც საკუთარ ბინას, საიდანაც, რაც უნდათ, გასაყიდად გაიტანენ. იმისთვის, რომ დადგა „თაი მი“, რუსთაველზე რეპეტიციების გავლა საჭირო სრულყოფილი არ არის და არც დიდი „გარდასახვა“ ესაჭიროება.  
 - ქალბატონო ნანა, არ მინდა, პოლიტიკას შევეხო, მაგრამ არ შემიძლია, არ გეითხოვო. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ყურნაღისტებს მოუწოდებ, თავი შეიკავონ მისი კოალიციის წევრებზე თავდასხმისგან, რადგან ეს მთელი კოალიციაზე თავდასხმად მოიაზრება. ერთიანი გუნდური თამაშის პრინციპით, გააკეთებდით, სწორი პოზიციაა, მაგრამ, ამავე დროს, ამ კოალიციის წევრები აქვთ ესხმებიან თავს საზოგადოების წარმომადგენლებს. ეს რა თამაშის პრინციპია, როცა შენს კოალიციაზე არაფერი უნდა ითქვას, კოალიციის წევრები კი სამოქალაქო სექტორს სურვილისამებრ ღანძრავენ? იქნებ ამ

კოალიციის ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი შეგნებულად აკეთებს ამას, რათა ისევ ბიძინა ივანიშვილს გაუფუჭოს საქმე? - ეს ნატოს წესდებას ჰკავს. ამ შემთხვევაში, ჩემთვის საინტერესოა ტენდენცია: „თქვენ არ მოვიხმენთ, როგორც გვინდა, ისე მოვიტყვევით, თქვენ კი ჩვენზე არაფერი თქვით“... ასეთი ხელისუფლება ხომ უკვე გეყავს? როდესაც ხელისუფლებაში მოსვლა გინდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას უყრს მოუგდებ, რადგან გაითვალისწინებ, ხანდახან შენც დათმობ... მე, ნატოს წესდების არ იყოს, რამდენიც უნდა მიძახონ - ჩემს წევრზე თავდასხმა ჩემზე თავდასხმად აღიქმება, ხელი არც მემორანდუმზე მაქვს მოწერილი და არც ნატოს წევრი ქვეყანა ვარ. ვისაც მინდა, იმას გააკრიტიკებ. ჩემი მდომარეობის ყველაზე დიდი ხიბლი სწორედ ის არის, რომ შეფასებებში თავისუფალი ვარ.  
 - ფიქრობ, არა მარტო ხიბლი, არამედ ყველა ადამიანის უფლებადაცაა, შეფასებებში თავისუფალი იყოს...  
 - ვინც უნდა მომწოდოს, რაც არ მომწონს, იმას სააკაშვილზეც ვიტყვი, ივანიშვილზეც, პეტრეზეც და პავლეზეც და ამას ვერაინ დამიშლის. რაც შეეხება შენი შეკითხვის მეორე ნაწილს, გეკითხება: თუ შენთვის ყველას კრიტიკა, იარაღების, წოდებებისა და

კლიშეების მინიჭება ნებადართულია - ის „რუსოფილია“, ეს „ქსენოფობია“, ის „რასისტია“... ვერ ხელები და იქნებ ამისხნა: შენ რა, ამ ტერმინოლოგიის პრივატიზაცია გაქვს გაკეთებული? მე რატომ ვერ გამოვიყენებ იმავეს, რაშია საქმე? არ მინდა ასეთი დემოკრატია. ვეროპა, ალბათ, განცვიფრდება, მაგრამ მე ეს „განცვიფრებები“ მეყო.  
 ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს ხანდახან შემთხვევითობები განაპირობებს ხოლმე. მოსკოვში დეკემბრის მიტინგებზე თეთრი ლენტეხის დარბევების ფაქტი ხომ გახსოვთ?  
 - ჩვენთანაც ეკეთა ოპოზიციას ასეთი...  
 - ეგ კიდევ სხვა მომენტია. ეს ლენტეხი იმავე „ლაბორატორიაშია“ მოფიქრებული, სადაც ვარდები, ტიტები, კვადრები, ფორ-თოხლები და ა.შ. საიდან გაჩნდა ეს თეთრი ლენტეხები? რა არის რუსეთის სიმბოლო? - რუსული ზამთარი, თეთრი თოვლი... ეს წამოვიდა აქედან. საოცარი რომ მოხდა, დეკემბერში, ისტორიაში ჯერ რამ არ მომხდარა, ერთი ფიგურა არ ჩამოვარდა მოსკოვში და ამ „რევოლუციურმა“ სიმბოლომ აზრი დაკარგა. ჩვენ რამდენიც უნდა ვეცდოდით, რადგანაში ხემოდან ცოტა ღმერთიც უნდა მოგვეხმაროს. პოდა, არ მოეხმარა ღმერთი ამ შემთხვევაში.

ადრეც მითქვამს, მთელი ამ მზადებისთვის - 2003 წელი რომ მომხდარიყო, ევანიამ 1995 წლიდან იმუშავა. დღევანდელ ოპოზიციას ჰგონია, რომ ხალხი თავისით, სტიქიურად გამოვიდა და დირსება დაიწყო. არ არის ასე. ეს არის ისეთივე პროფესია, როგორც პურ-ნაღისტის, ინჟინრის, ექიმის. ეს არის პროფესია და ხელობა. არის პერიოდები, როცა შენც დიდიდან დიდიამდე უნდა იმუშაო, თუ გინდა, გამარჯვებას მიადლო.  
 - ისიც „ზემოდან ხომ არ ხდება“, რომ გრძელი და ლამაზი ვარდები, რომლებიც საქართველოში ხარობდა და ბევრჯერ მოურთმევიათ ოჯახში, 2003 წლის შემდეგ აღარ ხარობს და შერონ სტოუნისთვის რამდენიმე ათასი ვარდი ლათინური ამერიკიდან ჩამოატანინეს?  
 - ვარდი როგორ არ ხარობს, მაგრამ შინაარსია მთავარი. დანიშნულებისთვის უნდა გამოიყენო და არა სახელმწიფო გადატრიალებისთვის. ვარდი თვალსა და გულს უნდა ახარებდეს და არა სახელმწიფო გადატრიალების რეკვიზიტს წარმოადგენდეს.  
 ესაუბრა  
 ბაია ამაშუკელი

ალექსანდრე ჭაჭია პრინს ბასლავისა და ეროვნული თვითშეგნების დათრგუნვის გაქროლოგიის შესახებ

**(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)**  
 მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვილდად ცხოვრება ჩვენი უმინიმუმდროს ვანეის ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანები არიან. მეტიც, რამდენადაც პარადოქსულად უნდა ედგინდეს, ისლამი თავისი სულიერ-ხეობრივი ღირებულებებით ბევრად უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, ადაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, აღვირახსნილობის პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მკვლევარი თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ.  
 - თქვენ თქვით, რომ ხალხის მოტყუებაში დიდი როლი ქართულმა ინტელიგენციამ შეასრულა. მე მახსოვს თქვენი, თუ არ ვცდები, 1997 წელს დაწერილი სტატია „გეყინათ? გეყინოთ“, რომელშიც თქვენ ინტელიგენციას შეგარდნად მხარდაჭერისთვის მბაფრად აკრიტიკებდით. როგორ აფასებთ ინტელიგენციის როლს დღეს?  
 - მე მაშინ არა მთელ ინტელიგენციას, არამედ ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ვაკრიტიკებდი. საქმე ისაა, რომ გვიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ინტელიგენცია დიდი მხარს მხდებოდა ე. წ. შექმნილი ინტელიგენცია - მსახიობები, რეჟისორები, პოეტები, მწერლები, ხანდახან მათ აკადემიკოსებს და პროფესორებს ამტკიცებდნენ. სინამდვილეში კი ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფუნქციის ძირითად ნაწილს, წარმოადგენდნენ მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები, სამეცნიერო მუშაკები, ანუ ის ხალხი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში საშუალო კლასის როლს

ასრულებდა. ეს საშუალო კლასი შეგარდნადის ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაანადგურა, მან საზოგადოებაში სოციალური როლის შესრულება შეწყვიტა. პარალელურად, შეგარდნადიმ სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა საშუალო კლასის ამერიკულ ფიდაზე - კერძო მესაკუთრეების კლასად ფორმირება, მაგრამ არ ესმოდა, რომ საშუალო კლასის ფორმირების ბუნება და პრინციპები შეიძლება განსხვავებული იყოს, მთავარია საშუალო კლასმა თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს.  
 რაც შეეხება ელიტურ ინტელიგენციას, იგი წარმოადგენდა იმ ვიწრო წრეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს დიდი ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, მისი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამ პატივისცემამ შეუქმნა მათ საკუთარი განსაკუთრებულობის გრძობა, რწმენა, რომ აქვთ უნარი და ძალეუთ გადაწყვიტონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანები, ამ როლს საკითხებში ხალხს ჭკუა ასწავლავდა, მაგრამ ამისთვის აუცილებელი ცოდნა არ აღმოაჩნდა. მათ არაფერი ესმოდათ მსოფლიო პროცესების, მსოფლიო არენაზე ძალების განლაგების, გეოპოლიტიკის, ეკონომიკის შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ საკუთარი ხალხის მენტალობაშიც არც ისე კარგად ერეკვიან. ცოდნა არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ იყო აპლომბი. შეგარდნადიმ ეს მათი თვისება კარგად იცოდა და ოსტატურად მანიპულირება დაიწყო. ისინი, თავის მხრივ, მასში გურუს ხედავდნენ, რომელსაც შეეძლო ბრმა ენდო, ყველაფერში მხარი დაუჭირო, ხოლო როგორ მოიქცეს, მან თვითონ იცის.  
 ინტელიგენციის სრული მხარდაჭერით, შეგარდნადიმ ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართველი ხალხის ცნობიერებას

დამანგრეველი დარტყმები მიაყენა: აფხაზეთის ომი, სადამსჯელო ექსპედიციები სამეგრელოში, უძაღლესი განათლების სისტემის ნგრევა, აკადემიური მეცნიერების განადგურება, ეროვნული ღირებულებების საზიანოდ დასავლური ღირებულებების პროპაგანდა, საზოგადოებაში ნატოში სწრაფი გაწევრიანების შესახებ მითების დანერგვა, საზოგადოების დაყოფა «დასავლელ რეფორმატორებად», «კომუნისტებად» და «პროვინციულ ფაშისტებად» და სხვა მრავალი. შეგარდნადიმ, ძველი ინტელიგენციისა და «ახალგაზრდა რეფორმატორების» პოლიტიკური სიმბოზი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც დაანგრია სახელმწიფო, დაშალა ჩვენი საზოგადოება, ქვეყნის მოსახლეობას ორიენტაცია დაუკარგა.  
 შეგარდნადიმ დანაშაულში თანამონაწილეობით ამ ინტელიგენციამ მოსახლეობის თვალში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა, დაკარგა ავტორიტეტი, მეტიც, შეგარდნადიმ მიმართ სიძულვილი ხალხმა მათზეც გადაიტანა, ამიტომ «ახალგაზრდა რეფორმატორებმა» ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მოისროლეს, ხიზლით გამოაცხადეს «ჩარეცხილებად». სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა რეფორმატორებსაც შეგარდნადიმ იმავე ხერხებით ზრდიდა, რომლებთანაც ინტელიგენციას არაფერი ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მათთვისაც «ბრძენი გურუ» იქნებოდა, რომელსაც ისინი უსიტყვოდ დაუჯერებდნენ, მაგრამ ეს ბიჭები ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ მათ წინაშე «ცარიელი ფულბარია», უშუალო კონტაქტზე გავიდნენ მის პატივობთან - ამერიკულეთთან, საქმიანად მოილაპარაკეს და მოხუცი ისტორიის სანაგვეზე გაისტუმრეს.  
 ინტელიგენციის პასუხისმგებლობა იმ

კატასტროფის გამო, რომელიც ქვეყანას დაემართა, ძალიან დიდია. ზოგიერთი მათგანი მიხვდა, რამდენად უზნეო თამაშში გამოიყენეს და საკუთარ დანაშაულს გრძობს. მათ გულწრფელად უყვართ სამშობლო, საკუთარი ხალხი, ხედავენ, როგორ იღუპება ერი და ინგრევა სახელმწიფო. მე თანაგრძობით ვკითხულობ მათ სტატიებს, ინტერვიუებს, ვგრძობ მათ ტკივილს, მათ სულიერ ტანჯვას, მაგრამ ჯერ არ მსმენია, მათგან ვინმეს ელოდებინოს, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა შეგარდნადიმის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ისინი ოდესღაც ასე მტკიცედ უჭერდნენ მხარს. ცოტა ხნის წინ ცნობილი ქართველი პოეტი აღმოფოტებული იყო იმით, რომ ახლა ქართულ გრძელ ვეგარებს პასპორტში მოკლედ ჩაწერენ, რათა უცხოელებს მათი გამოთქმა არ გაუჭირდეთ. მაგრამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ეს პოეტი პარლამენტის წევრი იყო, აქტიურად უჭერდა მხარს ედუარდ შეგარდნადიმს გადაწყვეტილებას პასპორტებიდან ეროვნების ამოღების თაობაზე. მისი არგუმენტაცია ბრწყინვალე იყო: «მე ხომ ვიცი, რომ ქართველი ვარ! რად მინდა ამისთვის პასპორტში ჩანაწერი?». და რად უნდა დღეს სრული ვგარი პასპორტში? მან ხომ იცის თავისი ვგარი, ეს საკმარისია.  
 იმ სტატიაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, ინტელიგენციას ვუთხარი: პოლიტიკა, რომელსაც თქვენ უჭერთ მხარს, მიგვიყვანს იქამდე, რომ თქვენს წიგნებს მკითხველი აღარ ყვოლება-თქო. ამის შემდეგ 15 წელიც კი არ გასულა და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა.  
 (გაგრძელება იქნება)  
 ესაუბრა  
 ირაკლი თოღუა

კიდევ ერთხელ “სწორად თქმისა და ღირსის კულტურის თაობაზე”



ჩვეული კოლხური სიტო...  
 დაუხარველი ადამიანია. დღესაც, როცა უკვე 80 წელს გადააბიჯა და კვლავაც ძველი, ახალგაზრდაული შემართებით აგრძელებს შრომას ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შეუძლია საკუთარი საქმე გვერდზე გადასდოს და შენს ნაშრომს ჩაუჯდეს, უაღრესად საქმიანი და სხარტგებლო რჩევები მოგცეს...  
 უანგარობა და საოცარი შრომისმოყვარეობა გამოარჩევდა მს ყოველთვის ყველასაგან - იგი არის ლიტერატორი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.  
 ალბათ თავადაც არ ახსოვს, რამდენი წიგნის რედაქტორი იყო თავისი შრომითი ბიოგრაფიის მანძილზე, რამდენი წიგნის გამოცემაში გაუმართა ხელი მეგობარ-კოლეგებს (მათ შორის, მეც). ამ გამოვრცხავ, რომ არც ის ახსოვდას, თუ რამდენი წიგნის ავტორია თავად, მაგრამ არა წელთა სიმრავლის მიხედვით, არამედ მის მიერ გამოცემული წიგნების სიმრავლის გამო!

გაზეთ “ილორში” არაერთჯერ დაიბეჭდა მკერული ლექსები თანდართული ქართული თარგმანით, რომლის გამოცემას დიდი შრომა შეაღია გვი ბოჯგუამ. ასი მეგრული ლექსი ღამაზე მივიგება აკინძული წიგნში “მეგრული ხალხური პოეზის - 100 ლექსი”, რომელიც შეადგინა, რედაქტირება და თარგმანი განახორციელა და შესავალი წერილი დაურთო ბატონმა გივი ბოჯგუამ.  
 და აი, ვინ გასულა დიდი დრო და ბატონმა გივიმ კვლავ გაახარა ქართველი მკითხველი თავისი ახალი წიგნფურცელათი - “მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა”, რომელიც მთლიანად ეძღვნება ქართულ ენაზე სწორად საუბრისა და წერის კულტურას, რომლის დეფიციტი, სამწუხაროდ, აშკარად თვალშისაცემია ჩვენს რეალობაში.  
 წიგნი იხსნება დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის ლექსით: “მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად

წერას, კითხვას და ლაპარაკს!”  
 წიგნი უდავოდ საინტერესოა, მაგრამ, ვიტყვი, რომ იგი აუცილებელია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც სურვილი აქვს ილაპარაკოს გამართულად და, არა, როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს - “ორღობის ქართული”. თუმცა, ზოგჯერ, მაღალი ტიტულებიან რომ ქართული გვეხმოს, მას ენობრივი სიწმინდით ის “ორღობის ქართულიც” კი აჯობებს!  
 გაუზვიადებლად ვამბობ: ეს წიგნი შეიძლება ბიბლიად იქნას მიჩნეული ქართული ენის უნაკლოდ შესწავლას დაწავებულად ადამიანებისათვის. ამაზე თუნდაც წიგნის დასაწყისი მეტყველებს:  
 “ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ გვიქადაგა დიდმა პიწმურაფმა, ენციკლოპედიკმა და მთარგმნელმა ითანე-ზოსიმემ თავის საოცარ თხზულებაში “ქება და დიდება ქართულისა ენისაი”, რომ ქართველთა მშობლიური ენა უფლის სახელით არის შემკული და კურთხეული...”  
 ალბათ ამიტომაც გვაფრთხი-

ლებს ქართული ენის გრადის მცველი, რომ “წინმა მრავალტირ-გამოვლილმა უბეველსმა ქართულმა ენამ დღემდე ბრძოლითა და დიდებით მანდწია, მაგრამ ამჟამად აშკარა განსაცდელშია”-ო. ამიტომაც მოგვიწოდებს ბატონი გივი ბოჯგუა, რომ ბრძოლით უნდა დავიცვათ ქართული ენა.  
 მართლაც, ამ ბრძოლაში ეს წიგნი ფასდაუდებელი დახმარებას გაგვიწევს!  
 ჩემო, ბატონო გივი!  
 მიიღე ჩემგან ეს მცირე მიძღვნა და ნუ დამძრახავ, თუ მასში რომელიმე ფრაზა გაუმართავად მოგეჩვენება. უბრალო, როცა მეგობრისადმი პატივისცემის გრძობით გამოსტავალი სწერ სამადლოებლ ბარათს, არ შეიძლება ემოციამ არ დაეძლიოს, რომელიც გართმევს იმის საშუალებას, რომ უფრო მეტად უწრადლებიანი იყო ლოგიკისა და სინტაქსის მიმართ.  
 როლანდ ჯალაღანიძე,  
 “ვახიშის” და “აიას”  
 აკადემიების ნამდვილი წევრი



სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ გიორგი ჯალაღანიას ლარი დრიუ: ზაზა ფაჩულია ნამდვილი მეოქავია!



139:133, 54, 20, 15, 0 - ციფრების ასეთი კორიანტელი დააყენეს „იუტასთან“ შეხვედრაში „ატლანტაში“ და ზაზა ფაჩულიამ. მიუხედავად რიცხვებს თანმიმდევრობით, კლუბადობის მიხედვით.

ოვერტიმისი მატჩი ახსოვს. გაგიკვირდებათ, მაგრამ მატჩი მოიგო გუნდმა, რომელიც სამ დღეში შეუსვენებელი მესამე მატჩს ატარებდა. ქრონოლოგიას ქვემოთ გაეცნობით, აქ კი უწარდლებას დაუთმობთ მეორე ოვერტიმის ბოლო ზუსტ ტყორცნას: „ატლანტა“ 3 ქულის სხვაობით აგებდა, სირუნამდე 7 წამი რჩებოდა, როცა ჯო ჯონსონმა ბურთი იხელთა, მეტოქე მოძრაობაზე დაიჭირა, პერიმეტრის ხაზზე ავიდა და სამქულიანით თამაში გადაარჩინა - 113:113.

წუთი თამაშა. რამდენად სასარგებლო იყო ზაზა, ამაზე ჩვენთვის ვერცხის წერას არ შევუდგებით. მოვესმინოთ „ჰოქსის“ თავკაც ლარი დრიუს, რომელიც აღფრთოვანებული ლაპარაკობს: „ფაჩულია „იუტას“ საუკეთესო მოთამაშის, ჯეფერსონის წინააღმდეგ ირჯებოდა. ქართული ნამდვილი მეომარია, ნამდვილად კარგი ცენტრია, რომელმაც თითოეულ ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლა. ზაზამ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მისგან მოელოდით.“

ლია. „იუტასთან“ შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 1:31 წუთით ადრე ზაზამ მნიშვნელოვანი ტყორცნა გამოიყენა (მერვე ქულა). დარჩენილ დროში მხოლოდ სამი ქულა ჩაგარდა, სამივე „ატლანტას“ კალათში და ძირითადი დრო 98:98 დასრულდა.

კვირას თბილისში რომ თენდებოდა, ამერიკის ქალაქ ატლანტაში შედგა ისტორიული მატჩი, როგორც ფაჩულიასთვის, ისე NBA-სთვის. „ატლანტაში“ და „იუტაში“ ძირითადი დრო ფრედ დაასრულეს; ყაიმით დამთავრდა პირველი, მეორე და მესამე ოვერტიმები და გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ მეოთხე დამატებით ხუთწუთეულში გაირკვა.

„ბოლო წუთებზე მოედანზე ისე ვმოძრაობდით, თითქოს 40 წლისანი ვყოფილიყავით.“ 28 წლის ქართველი ცენტრი განაგრძობს: „მეოთხე ოვერტიმის წინ სათადარიგოთა სკამზე მსხდომებმა ვთქვით: საკმარისია, დროა ყველაფერი დავასრულოთ! მხელი განსასაზღვრე იყო მატჩის შედეგი, მაგრამ მაქსიმუმში უნდა გაგვეკეთებინა, რომ შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. გრინის სამქულიანმა დიდი როლი ითამაშა გამარჯვებაში. მან სათადარიგოთა სკამიდან მეტი ენერჯია შემოიტანა და შედარებით დადლივდ სისტარტოებს ძალიან დაგვეხმარა.“

„ქართული ოცნების განხორციელება ერთი ნაბიჯით უფრო ახლოსაა“

თბილისში ნაყვანი უხმო ენა რუსული

ISSN 1987-8966 ილოხი
ტელეფონი: 599 34 37 27

კვლევის მიზანმიმართული
ტელეფონი: 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი
ტელეფონი: 599-34-37-27

გაზეთი "ილოხი"
WWW.saqinform.ge